სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

18/08/2026

MES 3 26 0001061624

ბრძანება

თბილისი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 30 აგვისტოს N179/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის, „ე“ ქვეპუნქტის „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ“ - სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2026 წლის 03 მარტის N286846 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე“ და „რ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N1055518, 17/08/2026) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტები:

ა) OTG-I-26-496;

ბ) OTG-I-26-600;

გ) OTG-I-26-1264.

2. გამარჯვებული პროექტების ავტორებმა არაუგვიანეს 2026 წლის 21 აგვისტოს 18:00 საათისა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) კანცელარიაში უნდა წარმოადგინონ:

ა) წამყვანი და თანამონაწილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორგანიზაციის მიზნობრივი ანგარიშის რეკვიზიტები – ამ პროექტისათვის გახსნილი ლარის საბანკო/სახაზინო ანგარიშის ნომერი, რომელზეც გამარჯვების შემთხვევაში ჩაირიცხება გრანტის თანხა და ცნობა ბანკიდან, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი;
ბ) ცნობა იმის შესახებ, რომ წამყვან და თანამონაწილე (ერთობლივი პროექტის შემთხვევაში) ორგანიზაციებს არ გააჩნია დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე;
გ) თანადაფინანსების ცნობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორიგინალი – თუ ცნობის ორიგინალი უცხოენოვანია, მას თან უნდა ერთვოდეს ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ.
3. ფონდის ხარისხის მართვისა და მონიტორინგის დეპარტამენტს გამარჯვებული პროექტების წარმდგენებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2026 წლის 30 სექტემბრისა;
4. დაევალოს ფონდის საწეღაშორისო თანამშრომლობის და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე;
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი
გენერალური დირექტორი
დოჭვირი თეიმურაზ

თ. დოჭვირი